ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N24

2022 წლის 27 ოქტომბერი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს „ონის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამით შემენილი, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მძიმე ტექნიკის: ექსკავატორი CUKUROVA (ყვითელი, რეგისტრაციის ნომერი LL988V, გამოშვების წელი 2021) შპს „ონის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — ზ. ბაჩანა მარკოიშვილი